რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 18 იანვარი 1918 წ.

# ბრძოლა

გაზეთი გამოდის ყოველ დღე. ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Георгіевская ул. № 1, для груз. газ. „Брдзола“. კორესპონდენციები და სხვა ყოველგვარი წერილები რედაქციის სახელზე შემდეგ ადრესით: Тифлисъ. Гановская ул. № 3. Редакція Груз. газ. „Брдзола“. განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე და სტრიქონი პეტიტის ღირს 20 კ.

ფასი 10 კ.

№ 13 რუსეთის ს.-დ. მუშ. პარ. (ბოლშევიკების) კავკ. საოლქო და თფილისის კომიტეტების ორგანო. № 13

## მიიღება ხელის მოწერა 1918 წლ.

ყოველ დღიურ გაზეთებზე

„ბრძოლა“, „კავკაზსკი რაბოჩი“ და „ბანვორი კრივ“-ზე

რუსეთის ს.-დ. მ. პარტიის (ბოლშევიკების) საოლქო და თფილისის კომიტეტების ორგანოებზე.

„ბრძოლაზე“ ხელის მოწერის პირობები: ერთი წლით ღირს **24** მან., ნახევარი წლით—**12** მან., ერთი თვით—**2** მან.

პირველ იანვრიდან ხსენებულ გაზეთების კანტორა მოაწყობს გაზეთების თფილისში ხელის მომწერთა ბინაზე მიტანას. მხოლოთ თავის დროზე გაზეთის მიღების მსურველთ გადახდებათ თვეში 50 კაპ. გამოცხადებულ ხელმოსაწერ ფასებზე მეტი

### ყველა რაიონების პარტიულ ამხანაგების საყურადღებოთ.

ა მ ხ ა ნ ა გ ე ბ ო! უკიდურესი ფინანსიური სიკიწროვის გამო კავკასიის ბოლშევიკების საოლქო კომიტეტმა რ. ს.-დ. მ. პარტიისამ 1917 წ. 31 დეკემბრის სხდომაზე დაადგინა შემდეგი: მიეცეს წინადადება ყველა რაიონულ ორგანიზაციებს, რომ წევრებმა ერთდროულად გადასდონ ერთი დღის შემოსავალი. შეგროვილი ფული ორგანიზაციებმა უნდა წარუდგინონ კომიტეტის ხაზინადარს ამხ. აკოპ აკოპიანს (კავკასიის ბანკი).

საოლქო კომიტეტი რ. ს.-დ. მ. პ. (ბოლშ.).

## ობიექტური პირობები.

ძნელათ მოიპოვება ახლა ისეთი ჭკუამოკლე, რომ წინასწარმეტყველის როლს არ კისრულობდეს და ახლო მომავალში ბოლშევიკების დამარცხებას უდავო დებულებათ არ აღიარებდეს. ყველა ეს ენაწყლიანი „რევოლიუციონერები“ „მეცნიერულათ“ ასაბუთებენ კონტრრევოლიუციის აუცილებლობას და რომ მისი რისხვა თავიდან აიცილონ, ადრევე იხიზნებიან რევოლიუციონური ბანაკიდან. უმთავრესათ ისინი ხელზე იხვევენ ობიექტიურ პირობებს, რომლებიც უზრუნველყოფენ კონტრრევოლიუციის გამარჯვებას, ხოლო რაში მდგომარეობს ეს ობიექტიური პირობები,—მის კონკრეტულათ გარკვევაზე ისინი თავს არ იწუხებენ: ობიექტიური პირობები მოუმწიფებელია, ჩვენი ქვეყანა ჩამორჩენილია, მოუმზადებელია—აი მთელი მათი მეცნიერული დასაბუთება.

ჩამორჩენილობაზე თუ წავა საქმე, მაშინ რუსეთის ხალხს არც თებერვლის რევოლიუცია უნდა მოეხდინა. ისტორიამ კი სხვანაირათ ინება რუსეთში, სადაც „83 პროც. წერა-კითხვის უცოდინარია“, მოხდა უდიდესი რევოლიუცია, რომელმაც გაცილებით უკან მოიტოვა ყველა მოწინავე ქვეყნები თავისი პოლიტიკური გარდაქმნის შედეგებით. ვერც ერთი ქვეყანა ვერ შეედრებოდა რუსეთს პოლიტიკური თავისუფლების მხრით თვით კერენსკის დროსაც, მაშინაც კი, როცა ის სასტიკათ სდევნიდა ბოლშევიკურ სიტყვას და ბეჭდვითი ორგანოებს. დემოკრატიული რესპუბლიკა, ხალხის თვითმპყრობელობა განხორციელდა მით, რომ რევოლიუციამ შექმნა რევოლიუციონური საბჭოები, სადაც დაირაზმა მშრომელი ხალხი და განასახიერა პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ძალა-უფლება. მართალია ეს უკანასკნელი მხოლოთ ჩანასახი იყო ნამდვილი ძალა-უფლებისა, მაგრამ ამ სახითაც საბჭოები წარმოადგენდენ უდიდესი მნიშვნელობის მოვლენას, რის მსგავსი სრულიათ არ მოიპოვებოდა დაწინაურებულ ქვეყნებს.

ერთი სიტყვით, ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყანა ყველაზე წინ მოექცა თავისი პოლიტიკური წყობილების მხრით. ეს ფაქტია და მას საკმაო საბუთი მოეპოვება ისტორიულ განვითარებასა და საერთაშორისო მდგომარეობაში.

ასეთივე ურყეველი ფაქტია ის, რომ დღეს რუსეთში ძალა-უფლება მუშებს და გლეხებს უჭირავთ. მაგრამ ამას არ სცნობენ ოქტომბრის რევოლიუციის მტრები და თავისი კონტრრევოლიუციონური სინდისის დასამშვიდებლათ ობიექტივურ პირობებს იშველიებენ.

როგორ შეიძლება სოციალისტური რევოლიუცია რუსეთში, როცა ის ჯერ ევროპაში არ მომხდარაო,—აცხადებენ ისინი დოინჯ-შემოყრილათ და დამშვიდებით განაგრძობენ თავის მოღალატურ პოლიტიკას. გამოდის, რომ ჯერ ინგლისმა ან გერმანიამ უნდა დაიწყოს ეს რევოლიუცია, მათ უნდა მიყვეს ამერიკა, საფრანგეთი, იტალია და მხოლოთ შემდეგ მოაწევს რუსეთის რიგი. მათ ვერ მოუნელებიათ, რომ რუსეთმა დაარღვია ეს რიგი და მით დეზორგანიზაცია შეიტანა მათ დოქტრინერულ აზროვნებაში. შებოჭვილნი ბურჟუაზიული აზროვნებით, ისინი უძლურნი არიან მისწვდენ ამ რევოლიუციის ღრმა შინაარს და მოკლეთ უსწორდებიან მას მით, რომ უარყოფენ თვით ფაქტს, უარყოფენ მომხდარ რევოლიუციას. ამით ისინი ემსგავსებიან იმ სასაცილო ასტრონომს, რომელიც უარყოფდა ახალი ვარსკვლავის აღმოჩენას იმ მოსაზრებით, რომ ჩემი თეორიით მაგისთანა ვარსკვლავი ახლა არ უნდა გამოჩნდესო; მისი ახირება იქამდინაც კი მივიდა, რომ მან უარყო მისი კოლეგების წინადადება, რომლითაც ისინი სთხოვდენ მას ტელესკოპით დაენახა ეს ვარსკვლავი: არ არსებობს მაგისთანა ვარსკვლავი და ტელესკოპშიაც რათ უნდა გავიხედოვო.

ოქტომბრის რევოლიუციის უარმყოფელნიც ასე იქცევიან. მათ არ სწამთ ეს ახალი შუქურა ვარსკვლავი, რომელიც დიდ მომავალს უქადის მთელ კაცობრიობას, არ უნდათ მისი დანახვა და მიზეზათ ობიექტივურ პირობებს ასახელებენ.

რა ობიექტიურ პირობებს შეუძლია დაემყაროს დღეს კონტრ-რევოლიუცია? უმთავრესი საქმე ქვეყნის ეკონომიკაა და აქ პირველი ადგილი უჭირავს საწარმოვო ძალების ამოძრავებას და მათ შეუჩერებელ განვითარებას. ეს კი შესაძლებელია იმ რადიკალური საკითხების გადაჭრით, რომლებიც დღეს მთელი სიგრძე სიგანით წამოყენებულია დღევანდელ ომ-გადახდილ რუსეთის წინ: მიწის საკითხი, წარმოების მოწესრიგება, ნაციონალური საკითხი და სხ. ერთი დღის დაყოვნებასაც არ ითმენს. შესძლებენ კი კონტრრევოლიუციონური კლასები ამ კითხვების ოდნავ მაინც გადაწყვეტას? აღარას ვიტყვით მემამულეთა კლასზე, რომლის წინააღმდეგ ამხედრებულა მთელი გლეხური რუსეთი; მასზე უკეთეს მდგომარეობაში არც ბურჟუაზია იმყოფება, რომელსაც მიწის კონფისკაცია შორიდან კი არ ემუქრება, რაიცა ანალოგიით შეიძლება გადვიდეს საკუთრათ მის ქონებაზე, არამედ პირდაპირ ეხება მის ბატონობას, რადგან წმინდა მემამულეებზე ნაკლებათ არ არის ის მიწის მესაკუთრე. რაღა სახსენებელია წარმოების მოწესრიგება და ნაციონალური საკითხი, რომელსაც ვერავითარ შემთხვევაში ვერ გაართმევს თავს ბურჟუაზია, ის მის ძალღონეს აღემატება.

მხოლოთ პროლეტარიატს შეუძლია ამ კითხვების რადიკალურათ გადაჭრა, რადგან მხოლოთ მის ინტერესებს არ ეწინააღმდეგება იგი, მაგრამ თუ ამისთვის მას საკმაო ინტელექტუალური და ორგანიზაციული ძალა არ აღმოაჩნდა მაშინ ქვეყანას მოელის განადგურება და არა მარტო კონტრრევოლიუციის გამარჯვება.

რუსეთის ბურჟუაზია სასტიკათ ებრძვის პროლეტარიატს, მარა არა როგორც უკეთესი ორგანიზატორი წარმოებისა, რომელსაც ჯერ კიდევ შესწევს უნარი ნაყოფიერი ფუნქცია შეასრულოს წარმოებაში, ის ებრძვის მას, როგორც უხეში ძალა, რომელიც არა სთმობს თავის ბატონობას, თუნდაც ეს ქვეყნის დაღუპვას მოასწავებდეს. განვითარების გზაზე შემდგარი მოწესრიგებული ცხოვრება შესაძლებელია მხოლოთ პროლეტარიატის სრული გამარჯვებით, მისი დამარცხება კი ქვეყნის განადგურებას მოასწავებს.

ჩვენ ვხედავთ, რომ შეიარაღებული რევოლიუციონური ხალხი უძლეველ ჯარს წარმოადგენს, რომელსაც ვერაფერს აკლებს გაბოროტებული და თავისი ბატონობის დაკარგვით გამწარებული ბურჟუაზია. მაგრამ არის გარეშე ძალა, რომელიც არა ნაკლებ ემტერება რუსეთის რევოლიუციას; ეს არის მსოფლიო ბურჟუაზია.

მას დიდი სურვილი აქვს სისხლში ჩაახრჩოს რუსეთი და კვლავ აღადგინოს მუქთა-ხორათა ბატონობა. შესძლებს კი ამ საქმეს ევროპის ბურჟუაზია? თუ სადმე მნიშვნელობა აქვს დაწინაურებულ და ჩამორჩენილ ქვეყნების ურთიერთობას, სწორედ აქ უნდა გამოჩნდეს იგი. წარმოუდგენელია, რომ დაწინაურებულმა ევროპამ, რომელიც ობიექტიურათ დიდი ხანია სდგას სოციალისტური რევოლიუციის წინაშე, გამოილაშქროს რუსეთის წინააღმდეგ, სადაც ეს რევოლიუცია უკვე ხდება. ჩამორჩენილი ქვეყნები ხშირათ შესევიან დაწინაურებულს, ძველი რეჟიმი აღუდგენიათ; ამ მხრით და ძველი

რუსეთი მუდამ პირველ რიგში იდგა. მაგრამ დღეს ყველაზე ჩამორჩენილი და ბარბაროსული რუსეთი პრაქტიკულათ ახორციელებს იმ დიად საქმეს, რისთვისაც ევროპაში ზღვა სისხლი დაიღვარა და მისი მხრით რევოლიუციონერ რუსეთს აქტიური დახმარების და თანაგრძნობის მეტი არავითარი საფრთხე არ მოელის.

რაც უფრო მედგრათ იწარმოებს ეს რევოლიუცია რუსეთში, მით უფრო მალე მისწვდება მისი ცეცხლი ევროპას, რითაც შეიქნება ერთი მთლიანი, უზარმაზარი ფრონტი მთელი ქვეყნის მშრომელთა კლასისა, რომელსაც წინ ველარაფერი დაუდგება.

მძიმე პირობებში სწარმოებს რუსეთის რევოლიუცია, მაგრამ მხოლოთ მას შეუძლია იხსნას ქვეყანა დალუპვისაგან; პროლეტარიატმა შეიგნო თავისი როლი და ობიექტიური პირობებიც მის მხარეს არის.

---

## კვალ და კვალ

„ერთობა" სიხარულით სწერს: „ბოლშევიკები თითქოს გრძნობენ აღსასრულის მოახლოვებასო". ჩვენ არ ვიცით, რომელ წყაროზე ამყარებს ჭორიკანა გაზეთი ასეთ წინასწარმეტყველობას. ჩვენ ვიცით მხოლოთ ერთი შეურყეველი ფაქტი, სახელდობ: მუშათა და გლეხთა მთავრობა და რევოლიუცია თანდათან მაგრდება, და ყველა იმედები და ოცნებანი კონტრრევოლიუციის და ობორონცების ამ რევოლიუციის დამარცხებაზე ფუჭათ რჩება. იგივე „ერთობა" ყოველ დღე წუწუნებს: სახალხო კომისარებმა დამფუძნებელი კრება გარეკესო. თუ ეს ფაქტია, ეს იმას ნიშნავს, რომ რევოლიუციონური ხალხი მხარს უჭერს ოქტომბრის მთავრობას და ზურგს აქცევს დამფუძნებელ კრებას, ვინაიდან პირველი იცავს ხალხის და რევოლიუციის ინტერესებს, მეორე კი—კონტრრევოლიუციისას. „ერთობის" საცოდავ პუბლიცისტებს შეუძლიათ რომელიმე ფაქტის შესახებ (ძალიან ხშირათ ჭორის შესახებაც) ათ სართულიანი წერილები ჯღაბნონ, მარა ფაქტის, ისტორიის, მოვლენის აზრის გაგების უნარს სრულიათ მოკლებული არიან.

იგივე „ერთობა" „ბრძოლას" უკიჟინებს იმისთვის, რომ ჩვენ გამოვთქვით ანბანური ჭეშმარიტება,—სახელდობ: სახალხო კომისარების საბჭო და ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციები შესძლებენ მთელ სახელმწიფოში არსებული პურის აღმოჩენას და თანასწორათ განაწილებას, შესძლებენ სპეკულიაციის ჩაკვლას. ამნაირათ ფიქრობენ ბოლშევიკები შიმშილობის წინააღმდეგ ბრძოლას და კიდეც ახორციელებენ ამას. ეს არის მაქსიმუმი იმის, რის განხორციელებაც შეუძლია ნამდვილ სახალხო, რევოლიუციონურ და სოციალისტურ მთავრობას. თუ სახელმწიფოში პურის რაოდენობა საკმაო არ დარჩა, თავის თავათ ცხადია, მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდება და სუროგატებსაც მივმართავთ, როგორც ერთ საშუალებას.

ახლა ვეკითხებით „ერთობის" ძუძუმწოვარა მეპრესეს: თქვენ, მენშევიკები როგორ აპირებთ შიმშილობასთან ბრძოლას, როგორ ებრძვის თქვენი „მთავრობა" სპეკულიაციას მაგ. აქ, თბილისში? ჩვენ ვამბობთ: თქვენ არ შეგიძლიათ სასტიკათ ებრძოლოთ სპეკულიაციას, ვინაიდან ბურჟუაზიასთან კავშირის გაწყვეტა არ შეგიძლიათ, მასთან თანამშრომლობის, კოალიციის მომხრე ხართ.

კიდევ: ვისი ბრალია მოსალოდნელი პურის კრიზისი? იმპერიალისტების, კოალიციური მთავრობის და ობორონცების, რომლებიც 8 თვის განმავლობაში ატყუილებდენ ხალხს და იმპერიალისტურ ომის წინააღმდეგ ბრძოლის მაგიერ კიდევ უფრო აღვივებდენ მას ივნისში შეტევის დაწყებით და სხ.

ეს ანბანი რომ სცოდნოდა ღრმათ მოაზროვნე მეპრესეს, ოხუნჯობის (აჯანსანდალის შესახებ) ხალისს სრულიათ დაკარგავდა.

იგივე ცეტი მეპრესე ჩმახავს ერთ უშველებელ სისულელეს: „ბოლშევიკები ხიშტებს დაეყრდნენ და მთელი დემოკრატია გასრისესო".

მოდი და ეკამათე ასეთ ხალხს. თუ ბოლშევიკებმა მთელი დემოკრატია გასრისეს, რომელი ძალით აპირებთ მათ დამარცხებას და „დასასრულის მოახლოვებას", რაზედაც ზემო სტრიქონებში თქვენ ლაყბობთ: ცოტა პოლიტიკური უნარი და ისტორიის ცოდნაა საჭირო, რომ კაცმა გაიგოს: ბოლშევიკებმა, მართალია გასრისეს და სრესენ კონტრრევოლიუციონურ ბურჟუაზიას და მის დამქაშებს, მარა რა შუაშია აქ „მთელი დემოკრატია"? „ერთობის" მეპრესეს რომ ეთქვა, რომ ბოლშევიკები ებრძვიან ე. წ. „ობორონცულ" დემოკრატიას, დავეთანხმებოდით, ვინაიდან მუშათა და გლეხთა რევოლიუციას წინ ეღობება დემოკრატიის მცირე ნაწილი, რომელიც, სამწუხაროთ, კიდევ უჭერს გაკოტრებულ რევოლიუციის მოღალატე ობორონცებს: მენშევიკებს და მემარჯვენე ესერებს.

---

## ვისთან არიან?

დღეს ბრმაც კი ხედავს, თუ რა მოხდა რუსეთში ოქტომბრის 24—25 რიცხვებში. მოხდა ის, რასაც მოველოდით, და რაც უნდა მომხდარიყო. მუშის და კოჟრილმა ხელმა და სალდათის ხიშტმა სამუდამოთ დაამხო კერენსკის მთავრობა და მასთან ერთათ ბურჟუაზიის აღვირაუსხნილი ფარფაშობა. კერენსკის კონტრრევოლიუციონურ მთავრობისაგან მოტყუვლებულმა ხალხმა არ მოითმინა ამდენი ტყუილი და ტანჯვა და დაამხო ის, ჯავრი დაასვა მას.

რასაკვირველია, ბურჟუაზია ვერ შეურიგდა პროლეტარიატის ასეთ ბრწყინვალე გამარჯვებას და ყოველი ძალით და ღონით ცდილობს ის, ჩააქროს რამეფრათ ეს გამარჯვება. დაირაზმა მუშათა კლასის საბრძოლველათ მთელი რიგი კონტრ-რევოლიუციონერებისა და შეეცადა, მძლავრი იერიში მიეტანა მუშათა და გლეხთა მთავრობაზე. შეიარაღდა ერთი მხრივ რევოლიუციონური პროლეტარიატი, ჯარი და ღარიბესი გლეხკაცობა, მეორე მხრით კონტრ-რევოლიუციონერები, შავრაზმელები, აფიცრობა, ჩინოვნიკობა და ბურჟუაზია. პირველს ხელმძღვანელობს პროლეტარული პარტია ბოლშევიკებისა, მეორეს კი კადეტები და სხვები. ასე, ამ რიგათ მთელი რუსეთი გაიყო ორ უზარ-მაზარ ბანაკათ. ერთ მხარეზე დგას რევოლიუციონერები, მეორეზე კი კონტრ-რევოლიუციონერები. ერთ მხარეზე—მუშათა კლასი, მეორეზე—მუქთა ხორები, სისხლის მსმელები, პარაზიტები. ერთი მხრით ლენინ ტროცკი,—მეორე მხრით—კალედინ-დუტოვ-კორნილოვ - კარაულოვები და ამ ორ ბანაკთა შორის ატეხილია ბრძოლა საშინელი, ბრძოლა შეუპოვარი, ბრძოლა სამკვდრო-სასიცოცხლო. ამ ბრძოლაში, რასაკვირველია, გაიმარჯვებს ძლიერი. თუ კონტრ-რევოლიუციამ გაიმარჯვა, მუშათა მოპოვებულ თავისუფლებას სისხლში ჩაახრჩობს და მუშათა კლასს გასაქანს არ მისცემს, და თუ საბჭოების მთავრობამ დაამარცხა კალედინები და კამპ., მუშათა კლასი სამუდამოთ განთავისუფლდება კაპიტალიზმის ბრჭყალებისაგან და შევა სოციალიზმის სამეფოში.

დღეს ასეთ ბრძოლის დროს ყოველი წამი ძვირფასია მუშათა კლასისათვის. ერთი შემცდარი ნაბიჯი დაღუპავს მას.

და ასეთ კლასთა ბრძოლის დროს სად არიან ჩვენი მენშევიკები? ვისთან არიან ისინი, ვის უჭერენ მხარს ან ვის ებრძვიან? აკი წინეთ ხალხს ეფიცებოდენ, ჩვენ ვართ ერთად ერთი და ჩაგრულ ხალხის პარტიაო! დღეს რა მოუვიდათ? რა დაემართათ? რათ უღალატეს მუშათა კლასს? მაგრამ მაგათ ისევ ის ამჯობინეს, რაც იყო დამკვიდრებული. ჩამოაგდეს თუ არა ნიკოლოზ მეორე, შეუერთდენ ბურჟუაზიას და ხელი-ხელ ჩაკიდებული, გასწიეს მუშათა კლასის დასამარცხებლათ. შეუჩვეველ ლხინს შეჩვეული ჭირი არჩიეს, სოციალიზმს—კაპიტალიზმი არჩიეს, სოციალიზმისათვის ბრძოლა იყო საჭირო, კლასთა ბრძოლას—კლასთა შერიგება არჩიეს, და რას დაეძებენ, თუ პროლეტარიატი დამარცხდება, მაგათ ფეხებზე ჰკიდიათ.

მენშევიკები თავიდანვე (თებერვლის რევოლიუციიდან) იცავდენ ბურჟუაზიასთან კოალიციას. მუშათა კლასი სუსტია და არ შეუძლია მას მარტო სიარული, აი რას გაიძახოდენ ისინი. ბურჟუაზია დემოკრატიას გაყვებაო და სხ. მაგრამ ცხოვრებამ თავისი გაიტანა, ისტორიის გზამ თავისი ქნა და ეს ვერ შეაჩერეს მენშევიკებმა. სასტიკათ დამარცხდა მათი ტაქტიკა.

ეხლა შევეკითხოთ: რა მოგვცა იმ კოალიციონურმა მთავრობამ, რომელსაც ესენი მხარს უჭერდენ და გვერდში უდგენ? მე შემიძლია უპასუხო: არაფერი. არც ზავის საკითხის გადაჭრა, არც მიწის და სხ. არამც თუ მოგვცა რამე, პირიქით: ყოველივე ამ საკითხებს ხელი შეუშალა. 18 ივნისის შეტევით ლახვარი ჩასცა კერენსკის მთავრობამ ზავს და ინტერნაციონალს. ბრძოლა გამოუცხადეს გლეხებს და გლეხთა კომიტეტები ციხეში ჩასვეს. დაატყვევეს საუკეთესო სოციალისტები და უსაბუთოთ გერმანიის მთავრობის აგენტებათ მონათლეს. და აი ამ მთავრობას უჭერდით მხარს თქვენ, ბ. „სოციალისტებო" მენშევიკებო, გვერდში უდექით მას და ბურჟუაზიასთან ერთათ აწარმოებდით ყოველივე საკითხს.

და ყოველივე ეს ვერ მოითმინა რუსეთის რევოლიუციონურმა დემოკრატიამ და დაამხო თქვენი მთავრობა იქ, ცენტრში და მასთან ერთად გამოგაცალათ ნიადაგი თქვენც. მოხდა ახალი, ოქტომბრის რევოლიუცია. თქვენი პარტია პეტროგრადში და სხვა მრავალ ადგილებში ჩაბარდა ისტორიას. დამკვიდრდა იქ ნამდვილი სოციალისტური მთავრობა. ატყდა საშინელი კლასთა ბრძოლა. ბურჟუაზიამ თავზარ დაცემულმა მოიკრიბა ძალა და შეებრძოლა მას, კალედინების მეთაურობით. ამ დროს ჩვენი ობორონცები გამოუქცენ რუსეთის დემოკრატიას და შეაყენეს აქ თავისი ინიციატორობით ახალი კოალიციონური მთავრობა. რა საჭირო იყო ეს მთავრობა? ვისი ინტერესებს იცავს ის? ცხადზე უცხადესია: ბურჟუაზიას.

როგორც ზევით ვსთქვით, დღეს რუსეთი ორ ბანაკათ არის დაყოფილი, რომელთა შორის ბრძოლა არის გაჩაღებული. დღეს ორ სკამზე ჯდომა, წინ-უკუქობა და ნეიტრალობა ყოვლად მოუხერხებელი და შეუძლებელია. მაშ სადით არიან აქაური მენშევიკ-ობორონცები? ესენი ებრძვიან რუსეთის დემოკრატიას კალედინთან ერთად. უგზავნიან ტყვია-წამალს მას და ცდილობენ დაამარცხონ პროლეტარიატი. ეხლა კიდევ გამოიცა გ. ჩხენკელის ბრძანება მობილიზაციის შესახებ. ყველა 19-32 წლამდე უნდა გავიდეს ჯარში. მაგრამ ვეკითხებით: რათ უნდათ ამ ვაჟბატონებს ეს ჯარი? ჩვენ შეგვიძლია უპასუხოთ: კონტრ-რევოლიუციის დასაცავათ და რევოლიუციის ჩასაქრობათ. მაშ ამ რიგად: აქაური მთავრობა ხელს უწყობს კალედინს და მასთან არის შეკავშირებული. წაბრძანდით კალედინთან, ეს უკეთესია, მაშინ თქვენ ფიზიონომიას ხალხი უფრო კარგათ დაინახავს და დააფასებს თქვენს ღვაწლს. მაგრამ იცოდეთ: არ შეგრჩებათ ასეთი ღალატი. ის ლაშქარი, რომელმაც დაამხო იქ კონტრ-რევოლიუციონური მთავრობა, ისეთ დღეს დაგაყენებს თქვენც. რაც მოხდა ცენტრში, ის უნდა მოხდეს პროვინციაშიაც. დასაბამიდან ბრუნავს ქვეყანა და ჟორდანიების და კამპ. ბრძანებები ვერ შეაჩერებენ მას. იცოდეთ; პროლეტარიატის წინააღმდეგ ვერაფერს გაიტანთ.

ალექსანდრე პაპავა.

---

## როგორ მოატყუეს ხალხი სოციალისტ-რევოლიუციონერებმა და რა მისცა ხალხს ბოლშევიკების ახალმა მთავრობამ.

წინასიტყვაობა.

რუსეთის გლეხობას ახლო მომავალში მოუხდება აიღოს საკუთარ ხელში თავის ქვეყნის ბედიღბალი. მუშათა რევოლიუციის გამარჯვებამ როგორც ორსავე სატახტო ქალაქებში, აგრეთვე სახელმწიფოს დანარჩენ მომეტებულ ნაწილებში, მოუპოვა გლეხობას შეძლება მოაწყოს მიწის საქმე თვითონვე საკუთარის ხელით. ჯერ კიდევ ყველა გლეხმა ვერ გაიგო, თუნდაც მალე ყველა გაიგებს, რომ მათი საბჭოები, საბჭოები გლეხთა დეპუტატებისა, წარმოადგენს ნამდვილ და ერთად ერთ სახელმწიფო ძალაუფლებას.

როდესაც ამას გლეხები გაიგებენ, მაშინ მათი კავშირი მუშებთან, კავშირი გლეხობის მომეტებული ნაწილისა, როგორც კავშირი მშრომელთა და ღარიბეს გლეხთა, განმტკიცდება. როგორც საბჭოებში აგრეთვე დამფუძნებელ კრებაში. სწორეთ ეს კავშირი და არა კავშირი გლეხებისა კაპიტალისტებთან შესძლებს უზრუნველჰყოს მშრომელთა ინტერესები.

ეჭვი არ არის, გლეხები ძალიან მალე გაიგებენ რომ მათი ხსნა ომის ვაებისგან და მემამულეთა და კაპიტალისტთა დაჩაგვრისგან მოითხოვს კავშირს გლეხობასთან და არა მდიდრებთან და პირველ ყოვლისა ქარხნის მუშებთან.

გლეხობამ რომ ეს მალე გაიგოს ამისთვის საჭიროა სხვათაშორის რომ მან, გლეხობამ, სისწორით და დოკუმენტებით ხელში შეადაროს დაპირებანი და კანონ-პროექტები ესერებისა (სოციალისტ რევოლიუციონერებისა) მუშათა და გლეხთა მთავრობის მიწის შესახებ ახალ კანონთან.

ამ სტატიაში აქვე ამისთანა შე-

დარიგება, აქ მკითხველი ნახავს საბუთებს, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს საქმისთვის, თუ მას ღრმათ ჩაუკვირდებით. უმთავრესი საბუთი, რომელიც შეეხება ესერებს, ეს გახლავთ მიწის კანონ პროექტი შედგენილი ესერების ყოფილ მინისტრისაგან, მასლოვისგან. ამ კანონპროექტს მე აქ მოვიყვან სრულად „დელო ნაროდა"-დგან (ჩერნოვის გაზეთია), მოვიყვან აქ აგრეთვე ჩემს სტატიას გაზეთ „რაბოჩი პუტი"-დგან იმავე კითხვაზე.

აგრეთვე სრულად გადმოვბეჭდავთ მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონს მიწის შესახებ.

ამხანაგებო გლეხებო! ეძიეთ ჭეშმარიტება სხვადასხვა პარტიების შესახებ და იპოვნით მას. თქვენ თითონ თავი მოუყარეთ სხვადასხვა პარტიის ამ კანონ-პროექტებს და შეადარეთ ერთმანეთს.

გულდასმით წაიკითხეთ ესერების მინისტრის კანონ-პროექტი მიწის შესახებ და ბოლშევიკების მთავრობის მიწის კანონი, იმ ბოლშევიკების მთავრობისა, რომელმაც უფლება მოსილობა მიიღო მე-2-ე სრულიად რუსეთის საბჭოთა ყრილობაზე, ჩვენ წინათვე ვიცით, თუ როგორი იქნება უკრაინელების გლეხების დასკვნა.

ნ. ლენინი.

პეტროგრადი. 9 ნოემბერი 1917 წ.

(გაგრძელება იქნება)

---

## რას წარმოადგენს ხაშურის რკინის გზის აღმასრულებელი კომიტეტი?

როდესაც 1905 წელს მუშები სასტიკად ებრძოდნენ თვითმპყრობელ მთავრობას და პეტროგრადის და მოსკოვის ქუჩებზე ბარრიკადები ჰქონდათ გამართული, მაშინ რკინის გზის მოსამსახურეებმა დიდი საისტორიო როლი ითამაშეს, რომელიც ოქროს ასოებითაა აღბეჭდილი რუსეთის დიდ რევოლიუციაში. მათი საერთო გაფიცვა დეკემბერში—ეს იყო ლახვარი ნიკოლოზის მთავრობის გულში ჩაცემული...

მაგრამ დადგა მეორე რევოლიუციის ხანა: ითამაშეს თუ არა რკინის გზის მოსამსახურეებმა 1905 წლის როლი? სამწუხაროდ, ამაზე დადებითი პასუხის მიცემა არ შეგვიძლია. როდესაც პეტროგრადის პროლეტარიატი ბურჟუაზიას ეკვეთა, „ვიკჟელმა" ნეიტრალიტეტი გამოაცხადა, და ამით ის რევოლიუციას გაუდგა. მეტყვიან: 27 თებერვლის რევოლიუციაში რკინის გზის მოსამსახურეებმა ხომ ნდობა გამოუცხადეს რევოლიუციას. მართალია, თებერვალში ყველა ჯურის ჩინოვნიკები რევოლიუციონერად მონათლეს, მაგრამ მათი რევოლიუციონერობის მოკლე ხანი ჰქონდა...

მე მსურს მკითხველებს მოკლეთ გავაცნო ადგილობრივი რკინის გზის აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობა.

როდის შესდგა ზემოხსენებული კომიტეტი? პირველ რევოლიუციის დღეებში არჩევნები აქაც მოხდა ისე, როგორც სხვაგან, (სიები არ იყო) ფარული, სია წარადგინა საერთო კრებაზე ადგილობრივ მენშევიკების ორგანიზაციამ, რომელიც მიღებულ იქნა კრებისაგან. მაგრამ ვინ გინდა, ამ სიაში არ მოხვდა: უჩასტკის უფროსი, საქმის მწარმოებლები და სხვები ე. ი. ისეთი პირები, რომლებიც სრულიად არ იცავენ მოსამსახურეების ინტერესებს,—ეს, რასაკვირველია მაგათი კოალიციონური პოლიტიკა იყო. ნახევარი წლის შემდეგ კომიტეტის არჩევისა რამოდენიმე მოსამსახურეებმა მიმართეს კომიტეტს, რომ მოეხსნათ ხელ ახლა არჩევნები. ვინაიდან ისინი ვერ ასრულებდნენ თავის მოვალეობას, მაგრამ ცივი უარი მიიღეს. იცავს თუ არა ადგილობრივი კომიტეტი მოსამსახურეების ინტერესებს? თამამად შემიძლიან ვთქვა: არა. ფაქტები ხელთ ბევრი მაქვს, მაგრამ ამაზე შემდეგ. მხოლოდ ერთმა გარემოებამ ცხად ჰყო მაგათი ფრაქციული შუღლი.

ამ სტრიქონების დამწერი ნიშანში აილო უჩასტკის უფროსმა, რომელმაც მისწერა ლიანდაგის უფროსს, რომ ან გადაეყვანე ან და დაეთხოვე ადგილიდან, ვითომდა შტატის შემოკლების გამო. და ცოდვა არ ითქმის: ამავე დროს მიემართა ადგილობრივ კომიტეტის სხდომაზე წევრებისთვინ, რომ მიეცათ ჩემთვის დროებით ადგილი სასურსათო ნაწილში, რომელიც თავისუფალი ყოფილა. მაგრამ მაგათ ცივი უარი უთქვამთ, რადგან ც მათი ფრაქციის მომხრე არ ვიყავ. ეს უტყუარი ფაქტია. ამასობაში ლიანდაგის უფროსისაგანაც ბრძანება მოვიდა ჩემი გადაყვანისა, წინაალმდეგ შემთხვევაში ადგილიდან მითხოვდენ. როდესაც განცხადება შევიტანე კომიტეტში და ვთხოვე, შეეჩერებინათ ჩემი უკანონო გადაყვანა, რაღაც კომისია დანიშნეს და შემდეგ კი წააწერეს რეზოლიუცია: დაემორჩილოს ბრძანებასო და თქვენი მონა მორჩილიც დაემორჩილა ბრძანებას.

ე. შალ—ძე.

---

# მუშათა წერილები.

საკვირველებაა მენშევიკების საქმეც მომდგარან და იძახიან როგორც ზეპირათ ისე გაზეთის ფურცლებზე, რომ ბოლშევიკების პარტიაში შედის ისეთი მუშები, რომლებიც 905-ში შავრაზმელები იყვნენო, გოროდოვს მიყვებოდნენო და სხვა. რათ ავიწყდებათ მენშევიკების ლიდერებს თავისი წინანდელი წარსული. თუ მენშევიკმა მუშებმა არ იციან ჩვენი წარსული მოქმედება და მაცადინობა მუშებში, ძალიან კარგათ მახსოვს, როცა ჩვენ გვეუბნებოდენ მაშინდელი სოციალისტები და ჩვენი ლიდერები და ახლა ნაციონალისტებათ გადაქცეულები: რომ ეგ მუშები, რომლებიც შავრაზმელებია და გოროდცევს მიყვებიან, შეუგნებელნი არიან, არ იციან თავიანთი ინტერესები და ამისთვის არიან იმათ პარტიაშიო, და თქვენი მოვალეობაა, რაც შეიძლება ენერგიულათ იმუშაოთ მაგათში, რომ სწორ გზაზე დააყენოთო და ჩვენ პარტიაში ჩვენც გვრწამდა ეს და რაც ძალი და ღონე გვქონდა, ვმუშაობდით მათში და ახლა ისინი 905-ში პატრიოტულ პარტიაში მყოფები თუ მოვიდენ ბოლშევიკურ პარტიაში, დიდება და პატივი მათ, რადგანაც შეუგნიათ თავისი მუშური მოვალეობა, თავისი ინტერესები და დამდგარან იმ პარტიის დროშის ქვეშ, რომელიც მხოლოდ ერთათ ერთი არის მუშების, პროლეტარების, ღარიბ გლეხების და ყველა გაყვლეფილთა ინტერესების დამცველი და ერთათ ერთი ნამდვილი სოციალისტური პარტია, რომელსაც არ აშინებს სოციალიზმი, რამედ იბრძვის იმისთვის თავ-გამოდებული და თუ იმას წინათ გზას აცდარ მუშებმა დაინახეს ეს და მიეკედლენ ამ პარტიას, ბოლშევიკურს, აქ რა არის საძრახისი.

ახლა ვკითხოთ მენშევიკებს, რომლებიც ახლა მენშევიკებათ თვლიან თავს და ზოგიც სათავეში უდგას ამ პარტიას, სად იყვნენ ისინი 1917 წლის არ დის? ველა მაგათ პარტიაში, რომ 60-ათასი პარტიის წევრი ითვლება. თფილისის და ქუთაისის გუბერნიაში გულზე ხელი დაიდვან და ისე სთქვან, რამდენი ათეული იყო მაგათ პარტიაში? ჩვენთან, ბოლშევიკებთან მოდიან მუშები, რადგან ეს მათთვის აუცილებელია და მაგათ პარტიაში, რომ მიკიტნები, ვაჭრები და ჩარჩები არიან, ნუ თუ ისინი სოციალისტებია? მაგრამ მე რაღას ვამბობ განა მენშევიკების ლიდერები კი თითონ სოციალისტებია? (თუ სოციალისტებია, სოციალიზმის რაღათ ეშინიათ?) იმასაც გაიძახიან, ბოლშევიკურ პარტიაში პროვოკატორიაო. ჩვენ ვიცით, რომ დღეს რუსეთში ბოლშევიკებზე დიდი პარტია არ არსებობს და ამაში, რომ პროვოკატორები შეიპარონ, არც ეს არის გასაკვირი და ის კი გასაკვირია, რომ მენშევიკური პარტია მთელი თავისი შემადგენლობით მიექცდლა, მიეყიდა თავად-აზნაურობას, სამღვდელოებას და წვრილ ბურჟუაზიას. იმის მაგივრათა რომ თავის პარტიის წევრებს ათვით-ცნობიერებდეს და კლასობრივ წინააღმდეგობას უხსნიდეს, უქადაგებდეს, როგორც ევროპის სოციალ დემოკრატიულ პარტიას, ის მორიგებას და მოთმინებას ურჩევს: მღვდლებთა, ბერებთან, კაპიტალისტებთან, ბურჟუაზიასთან და თავად აზნაურობასთან. ამას ასე ხომ მთელი ქვეყნის იმპერიალისტები, მყვლეფელები და მუშების ზურგზედ გასუქებულები ურჩევენ და არიგებენ მუშებს. მაშ რაღა გარჩევაა მათ შორის? ის რომ იმპერიალისტებს მუშები კარგათ იცნობენ და მათ არ მიყვებიან და ესენი კი ვითომ სოციალისტები ატყუილებენ მუშებს და დროებით მათ ჭეშმარიტ ნამდვილ კლასობრივ გზიდგან აცდენენ. ასეთ პარტიაში მართლა არ ექნებათ ადგილი პროვოკატორებს, მაგრამ ეს იმიტომ, რომ მათ იქ გასაკეთებელი არაფერი აქვთ; პროვოკატორები ხომ ბურჟუაზიიდან უნდა იყვნენ შემოჩენილი და რაღათ უნდა იმოქმედონ მათ პირობადით, როცა აშკარა მოქმედებასაც არავინ უშლის. ერთმა ქრისტიანმა დაამთქნარა და პირჯვარი დაიწერა. ებრაელმა კითხა: პირჯვარს რათ იწერო. იმიტომო, უპასუხა,—რომ გაღებულ პირში ეშმაკი არ ჩამივარდესო. ებრაელმა მოუჭრა: პირჯვარს არ ვიწერ, მარა ეშმაკი კი არასოდეს არ ჩამვარდნია პირშიო. ამაზე ქრისტიანმა უთხრა: პირში რაღათ ჩამივარდება, როცა თავიდან ფეხებამდი ეშმაკისა ხარო". ამისა არ იყოს, პროვოკატორიც კი მიიწევს, სადაც შესარყეველი და გასაფუჭებელი ეგულება, მაგრამ ჩვენს დროშას ისინი ვერას დააკლებენ. თქვენ გირჩევნიათ, თქვენ დროშაზედ დააწეროთ „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდითო"ს მაგივრად, პროლეტარებო ყველა ქვეყნისა გაითიშეთო. ლოზუნგი „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდითო" სოციალისტურია და არა ნაციონალისტური და თქვენ კი ნაციონალისტებთან გადაბარგდით იმის შემდეგ მაინც როცა თქვენი თავები ხელს აწერენ ამნაირ მოწოდებას,—როგორიც არის მაგალითად: ყველა ქართველებო ერთათ შეიკრიბეთ და შექმენით ერთი ჯარიო. ამ ქართველებში შედიან ვაჭრები, თავად-აზნაურობა, მემამულეები მღვდლები, ბერები და რასაკვირველია ქართველი მუშებიც, ჩვენ კი სოციალისტები ვამბობთ: მუშებო ყველა ქვეყნისა შეერთდით ყველანი, რომელ ერსაც უნდა ეკუთვნოდეთ: ქართველო, რუსო, სომეხო, თათარო, ებრაელო, გერმანელო, ინგლისელო, ფრანგო და სხვა და სხვა, და შეებრძოლეთ თქვენს მოსისხლე მტერს ბურჟუაზიას და მათ დამქაშებს. თქვენ კი ქართველ ჯარს იმისთვის, იძახით რომ ებრძოლოთ პროლეტარულ პარტიას ბოლშევიკებს და გაამაგროთ მდიდრები. ამის დასამტკიცებლად კმარა ის, რომ ყველა ჯურის ხალხს აძლევთ იარაღს, ვინც თქვენს პარტიაში ჩაეწერება და ბოლშევიკ მუშებს კი არა. რადგანაც ისინი არ დაიცავენ თქვენს კოალიციონურ ბურჟუაზიულ კომისარიატს.

გ. ჩხეიძე.

---

### სოფლის ცხოვრება.

ვისაც უმოგზაურია ქართლის სოფლებში, ის უეჭველათ შენიშნავდა, რომ იქ არავითარი რევოლიუციონური წესრიგი არ არის დაცული და მით უმეტეს ისეთ კუთხეებში, როგორიც არის დუშეთის მაზრა. ავიღოთ თუ გინდ ჭოპორტი, მშვენიერი სოფელია, ბუნებით შემკული, რომელსაც გვერდზე ცელქი არაგვი ჩამოურბის, რომლის მჩქეფარე ხმაური მსმენელს სიამოვნებას გვრის და ატკბობს, მარა ეს ბუნების სილამაზეა. შეხვალთ სოფელში თუ არა, იმ წუთს რაღაცა არაჩვეულებრივი სურათი გადაგეშლებათ თვალწინ. აგერ ქეიფი, თავიან ბოლმას სასმელში ახრჩობენ. მეორე ალაგას ჩხუბია გაჩაღებული. მესამე ალაგას ერთმანეთს ხანჯლებით დაერივნენ დასახოცათ, ვინ ვის დაასწრებს, არავინ იცის. იყო ასეთი შემთხვევა: ერთმა ჩემმა სახლის კაცმა ხალხის, უწყინარმა და მშვიდმა, რომელიც თავის სიწყნარით და სიმშვიდით არაა მხოლოთ სოფელში, თითქმის მთელ დუშეთის მაზრაშიც კი, პატივის ცემა აქვს დამსახურებული.

22 დეკემბერს იმას სტუმრათ მოეწვია თავის კარგი ნაცნობები. მარა დახე მის ბედის წერას: სტუმრებს ერთმანეთში ძველი ჯავრი ქონოდათ, ერთმანეთს წაეკიდენ დასახოცათ, მარა ერთმანეთი კი ვერ დიხოცეს, არამედ უწყინარს და მშვიდ მასპინძელს, დათიკო ლაფანაშვილს მარჯვენა მხარი მთლათ ხანჯლით ჩამოაჭრეს, საბრალო ადამიანი საშიშარ მდგომარეობაში ჩააგდეს, მისი ვადარჩენა საეჭვო არის, რომლის შრომის დაკარგვაც უდრის მისი ოჯახის შიმშილით ამოხოცვას. ის პატიოსანი სტუმრები, ვინც ამ დღეში ჩააგდო მასპინძელი, სრულებით თავისუფლათ დათარეშობენ და შეიძლება, მრავალ ამ ნაირს მოუღონ ბოლო, თუ დროზე სოფელს პატრონი არ გამოუჩნდა, რომელიც ბოლოს მოუღებს ანარქიას, რომელიც მძვინვარებს ქართლის სოფლებში.

გ. ლ.

---

### რევოლიუცია—დაუნდობელია. ისტორია კი მართლის მთქმელი.

მოკლეთ შევეხოთ მენშევიკების გამოლაშქრებას ჩვენს წინააღმდეგ. დავიწყოთ ლენინიდან. ლენინი ვილჰელმის აგენტი არისო. მისს კომპანიას ფულები აუღია, სწერდენ ყველა ხალხის მტრები გაზეთები და მათ არც „ერთობა" რჩებოდა უკან, „ერთობის" ერთ ერთ ნომერში ისიც ეწერა: ორდერები ბოლშევიკების დასაჭერათ გამზადებულიაო და მალე სუსრულეში მოიყვანენო. ბოლშევიკებს მოელის კრახი, ბოლშევიზმი ლიკვიდაციას განიცდის და ათას გვარ მარგალიტებით ამკობდენ ეს ჩვენი მკითხავ კუდელ-ნინუები. ასე აფასებდენ რუსეთის დიად რევოლიუციის გიგანტს. რამდენათაც რევოლიუცია ღრმავდებოდა და ღებულობდა ფართო დემოკრატია მონაწილეობას რაც იხატებოდა

ბოლშევიზმის ზრდაში, იმდენათ ჩვენი მენშევიკები უმატებდენ ყეფას კრილოვის ფინიებივით, მაგრამ რევოლიუცია მათ ყეფას ყურადღებას არ აქცევდა მიდიოდა თავისი ლოღიკური გზით ამსხვრევდა და ამსხვრევს დღესაც ყოველივე დამაბრკოლებელი მიზეზებს, ან რა ყურადღების ღირსნი იყვენ მენშევიკები და კამპანია, როცა ამბობდენ: საბჭოებს კი არ უნდა მივსცეს ძალა-უფლება, იმ საბჭოებს რომელიც დაბადა რუსეთის უმაგალითო დიდმა რევოლიუციამ: არამედ ჩვენ შევხანსლავთ კოალიციონურ მთავრობას ზომიერ-გონიერებისას და გონიერი ზომიერებისას. და შეხანსლეს კიდეც, მაგრამ ეხლა ვიკითხოთ: რა მოუვიდა ამ რამოდენჯერმე შეხანსლილ მთავრობას, რომელიც ვერ ემსახურებოდა თავის დანიშნულებას? იგი დაანგრია რუსეთის უფრო სერიოზულმა რევოლიუციამ დღეს საცოდავათ უყეფენ ამ ახალ რევოლიუციას. რევოლიუციის ცენტრიდან გადასროლილნი ფინიები თავიანთი კუნჭულებიდან. ერთი სიტყვით, რუსეთის რევოლიუციას ყავს ინტენ-ნაციონალური პარტია—რ. ს.-დ. მ. პ. ბალშევიკებისა და ვერავითარი ფინიები მას ვერ შეაჩერებენ და აქვე გირჩევთ თავი დაანებოთ ყეფას, რადგან თქვენც ის მოგელით, რაც თვით ფინიას მოუვიდა: იყეფა, იყეფა და ბოლოს ლონე გამოელია და დაჩუმდა. სპილოს კი არც შეუნიშნავს. ესევე მოგივიდათ მრავალ ალაგას და იგივე მოგივათ აქაც.

ეს სიმართლეა, ამაში თქვენ მე თუ არ დამეთანხმებით დღეს, ახლო მომავალში, როცა თქვენც დაგამხობთ რუსეთის ულმობელი რევოლიუცია. მაშინ კი და მეთანხმებით. მე ეს ასე მწამს. როგორც ერთ საპურპლეში იყოს ბენზინი, ნაწილი დაიწვას და ნაწილი კი არა. არა: როგორც ის იფეთქებს და მთლათ ამოიწვის, ისე მაქვს მე რუსეთის რევოლიუცია წარმოდგენილი. მაშ ასე, ამიერ-კავკასიის ასლან ქსენო: ექიმი შტოკმანი მოდის თავის ქოლგის ტარით ზურგის დასაფხანათ, მოემზადეთ ფანჯრებიდან გადასახტომათ, რადგარ კარები ჩაკეტილია. ზომიერ გონიერებამ დრო მოჰამა და გადავიდა პირდაპირობაზე.

ერთი კიდევ მოვაგონოთ მკითხველთ. როდესაც მოიწვიეს საპროტესტო მიტინგი თფილისში, საცა უნდა გამოეტანით სახალხო კომისარიატის წინააღმდეგ, ამ ნამდვილ ღვიძლი შვილის წინააღმდეგ რუსეთის რევოლიუცისა, საპროტესტო რეზოლიუციები წილად ვერ ხვდათ გამარჯვება, მიუხედავათ იმისა, რომ მიტინგიდან მიტინგზედ დაჰქროდენ ავტომობილებით. ასე ძნელი ყოფილა მზის დაბნელება! ერთ მიტინგზედ, საცა მე ვიყავი, ე. ი. ნაძალადევის თეატრში, ნოე რამიშვილმა ხალხს გადასძახა: Вы меня не перекричите ამაზე მას დაუყვირეს: სახალხო კომისარიატს ცუდათ ნუ იხსენებთ. მე მგონია, რომ რამიშვილები არხივს ბარდებიან, ვინაიდან მათ დაჰკარგეს გზა, ინტერნაციონალისკენ მიმავალი და ხალხსო ასე აფასებს: მანამ ემსახურები და გამოხატავ მის სულის კვეთებას, მანამ გაფასებს, როცა აუხვევ გზას ღალატობ მაშინ კი ხიდან შენ თვითონვე გიშორებს. ამის მიზეზი გახლავთ თქვენი მარჯვნივ და მარჯვნივ გადახრა იმ დროს, როდესაც რევოლიუცია იხრება მარცხნივ.

როგორც მუშა, ვაფასებ თქვენ წარსულს, მაგრამ ვერ ვურიგდები დღეს თქვენ გამყიდველ პოლიტიკას. აი ჩემი ღრმა რწმენა, უტყუარი. მოგიწოდებთ რ. ს. დ. მ. პ. დროშის ქვეშ. ან წაშალეთ დროშაზედ ეს წარწერა, ვინაიდან ამ წარწერას, არაფერი არა აქვს საერთო შოვინისტურ პარტიებთან; თქვენ კი იმათ მეთაურობთ და მთელი ხალხი ამიერ-კავკასიისა, რომელიც თანაგიგრძნობთ თქვენ გადაულოცეთ დაშნაკ-მუსულმან ფედერალისტებს და მით გასვარეთ დროშა ინტერნაციონალისა. დასასრულ გირჩევთ, რომ არ დაკარგოთ წარსული თქვენი ამაგი ხალხში, რასაც მეც პირადათ გიფასებთ; აუქციეთ გვერდი შემცდარ პოლიტიკას, თორემ ხახი სრულიათ ჩამოგეცლებათ. ჩვენ კი ვიბრძოლებთ ხალხის ნამდვილი წარმომადგენლებისთვის, თავს გავწირავთ მათთვის. ან ხალხის უფლება, ან ხალხის უფლების მოპოვებაში სიკვდილი.

მაშ ასე. გაუმარჯოს სახალხო კომისარიატს! გაუმარჯოს ინტერნაციონალს! ძირს მენშევიკების გამყიდველი პოლიტიკა!

ვანო ჯუჯელავა.

## პარტიული ცხოვრება.

13 იანვარს გამართულ 1 რაიონის საერთო პარტიული (რ. ს. დ. მ. პ. ბალშევიკებისა) კრების დადგენილება:

ქ. თბილისის ადგილობრივი რაიონის მცხოვრებთა „უშიშარ საყოფათ და მშვიდობიანობა-წესიერების დასამყარებლათ შედგენილ კომიტეტების“ შესახებ. კრება ადგენს: „ჩვენ, ბალშევიკები არც წინათ ვიყავით წინააღმდეგი და არც ახლა ვყოფთ უარს, რომ მონაწილეობა მივიღოთ რევოლიუციონურ ორგანიზაციებში, რომლებიც კი ავლივებენ და ანვითარებენ პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლას; ჩვენ ასეთ ორგანიზაციებში ვებრძვით ბურჟუაზიას და ნიღაბს ვხდით ცრუ სოციალისტებს; მაგრამ ის კომიტეტები, რომელზედაც ჩვენ გვითითებენ და რომელშიც „საზოგადოების დამცველათ“ გამოყავთ იმ დროს, როცა ამიერკავკასიის მთავრობა მემამულეების და ბეგების ხელშია ჩავარდნილი და მას ხელმძღვანელობენ კონტრრევოლიუციონერები და მათი დამქაში ობორონც-სოციალისტები, ზემოხსენებული კომიტეტები არსდება ხმოლოთ იმ მიზნით, რომ დაიცვან და დაიფარონ პოლიტიკურათ ეს ცრუ-სოციალისტები, რომლებიც აშკარა დამცველობას უწევენ ბურჟუაზიას. ასეთ ორგანიზაციებში ჩვენ, პროლეტარიატის და ღარიბ გლეხკაცობის პარტიას, არ შეგვიძლია მონაწილეობა მივიღოთ.

კრების თავმჯდომარე მაკაროვი.
მდივანი იოანიდი.

## განჯიდან გადმოფრენილის ნაამბობი

განჯიდან მოფრინდა პორუჩიკი ტერმინასოვი პორუჩიკ ლეონტიევთან ერთად და ამიერ კავკასიის კომისარიატის კრებაზე შემდეგი მოხსენება გააკეთა.

12 იანვარს გავფრინდით კახეთის რკ. გზის სადგურ ვაზიანიდან და აქსტაფამდე 300 მეტის სიმაღლეზე მივფრინავდით. რკინის გზაზე მოძრაობა ვერ შევამჩნიეთ. აქსტაფის იქით ახლოს ეშელონი იდგა. აქსტაფიდან შამხორამდე ყველა სოფლებში ცეცხლი მოსჩანდა. აქსტაფიდან იძულებული შევიქენით მაღლა ავფრენილიყავით, რადგან სროლა გვიტეხეს. განჯაში გვინდოდა ქალაქში ჩამოვფრენილიყავით თათრების ნაწილში, მაგრამ, რადგან თოფებს გვისროდენ, იძულებული შევიქენით ქალაქის განაპირა მდინარე განჯინკის ნაპირზე ჩამოვფრენილიყავით. დაეეშვით თუ არა მიწაზე, სადგურიდან სროლა დაგვიწყეს და აპარატი შეიდ ადგილას გაგვიხვრიტეს ტყვიით. საჩქაროთ მოვიდა კომისარი და ცხენოსანთა რაზმი ჩვენს დასაცავათ და თოკებით აპარატი ახლო ქუჩაში გაათრიეს. ყველა ქალალდები გადავეცით. განჯაში შაუმიანი არის ბაქოს დელეგაციასთან ერთათ, რომელმაც იკისრა მშვიდობიანობის ჩანოგდების საქმის მოგვარება. 12 იანვარს წავიდენ სადგურზე, მაგრამ შეიარაღებული ბრბო თავს დაესხა, მატარებლიდან ძირს გადმოყარა ყველანი და ორთქლმავალი ხელში ჩაიგდო. შემდეგ რა ბედი ეწვია შაუმიანს და მის დელეგაციას, არ ვიცი.

აფხაზავას მოკვლა შემდეგ პირობებში მოხდა: კომისარ მალხაზოვს ბრძანება ჰქონდა მიმავალ ეშელონებისთვის იარალი აეყარა. ასეთივე დეპება ჰქონდა თათართ პოლკის უფროსს მალალოვსაც. არც სომხების ჯარს და არც აფხაზავას ასეთი ბრძანება არ ქონებია. მალალოვს და ეფენდიევს (მაზრის კომისარი) ერთი მხრით და აფხაზავს მეორე მხრით ლაპარაკი მოუვიდათ. აფხაზავამ უარი სთქვა ზომები მიელო იარალის აყრის საქმეში, რადგან მას ამის განკარგულება არ ქონდა. ბოლოს მაინც წავიდენ, რომ ინციდენტისთვის ბოლო მოეღოთ. გარეული დივიზიის ერთი აფიცერი ავიდა ბაქანზე; სადაც სამთო ზარბაზნები ეწყო. ის გააფრთხილეს ზონარისთვის ხელი არ ეხლო. რადგან ზარბაზნები გატენილი იყო. ამის შემდეგ ჯავშნიან მატარებელს ზარბაზანი ესროლეს. დაიწყო ბრძოლა. დაახლოვებით ეშელონის მხრით მოკლულია 1050 ჯარისკაცი და მრავალი უგზო-უკვლოთ დაკარგული. შტაბ-როტმისტრი აფხზავა თეთრი ბაირალით გამოვიდა ჯავშნიან მატარებლიდან და სთხოვა შეეწყვიტათ სისხლის ღვრა. ის იქვე მოჰკლეს. მისი რაზმიდან ზოგი დაიჭირა და ზოგიც სოფლებში გავიდენ, წართმეული იარალი, რომლებიც ჯავშნიან მატარებელში ინახებოდა; ყაჩალებმა დაიტაცეს.

განჯიდან გამოფრენის დროს შევნიშნეთ, რომ თხრილებს აკეთებდენ. მხოლოდ დილის ათ საათზე მოვახერხეთ გამოფრენა. მცხოვრებლებს პირველათ ეგონათ, რომ სამტროთ მივედით, მაგრამ როცა გაიგეს, რაშიაც იყო საქმე, დამშვიდდენ.

(„ერთობა“)

## პ რ ო ვ ი ნ ც ი ა.

ო ნ ი. (რაჭა). 12 იანვარს დაბა ონში მოხდა კრება მოსულ ჯარის-კაცთა, სოფლის მუშებისა და გლეხებისა. კრებას საზოგადოება ბლომათ დაესწრო, თავმჯდომარეთ იქმნა არჩეული გამყრელიძე.

კრებამ, მსჯელობის შემდეგ, (უმრავლესობას შეადგენდენ ს. დ. მეუმრავლესენი დაადგინა, რათა უფრო გაალრმაოს სოფლათ დღევანდელი პოზიცია მეუმრავლესობისა და სამუდამოთ ალაგმონ კონტრრევოლიუციონური გამოსვლები, რომელიც ხშირათ ხდება რაჭაში, და არასოდეს დაბა ონში სალდათთა და სოფლის მუშათა საბჭო. საბჭოს წევრებს ირჩევს საზოგადოება.

დასასრულ ჯარის კაცმა ამხანაგმა მიხა ქურვალიშვილმა გააკეთა მოხსენება დღევანდელ მომენტის შესახებ. დაგმო მენშევიკების და მათი მაჩანჩალეების საქციელი, კრიტიკის ცეცხლში გაატარა მათი მოქმედება და უნდობლობა გამოუცხადა კავკასის კომისარიატს. კრებამ ამხ. კერვალიშვილს ერთხმათ მხარი დაუჭირა, კომისარიატს უნდობლობა გამოუცხადა და ორატორი მქუხარე ტაშის ცემით დააჯილდოვა.

გამყრელიძე

პირველი რაიონის ბიურო ბალშევიკებისა ამხანაგებს თხოვს დახმარება გაუწიონ შემოწირულებით, როგორც ფულით ისე წიგნებით და ბროშურებით რომ ბიუროსთან მოეწყოს ბიბლიოთეკა. შემოწირულება მიიღება გაზეთ „კავკ. რაბოჩის“ კანტორაში და 1 რაიონის ბიუროში (ჩერქეზოვის ქუჩა № 135) 5 საათ.—8 საათამდე.

პირველი რაიონის ბიურო ბალშევიკებისა ამხანაგებს სთხოვს შემოიარონ ბიუროში, ჩერქეზოვის ქუჩაზე № 135, რომ ძველი საწევრო ბილეთები ახალზე 1918 წლის ბილეთებზე გამოცვალონ რადგან პარტიის წევრებათ ისინი ჩაირიცხებიან, ვისაც ასეთი ბილეთები ექნებათ მიღებული.

18 იანვარს, ხუთშაბათს, 5 ნახ. ს. სალამოს ავლაბრის კლუბის დარბაზში (კახეთის ქუჩა № 1) შედგება საერთო კრება მე-3 რაიონის წევრთა (რ. ს. დ. მ. პ. ბალ.).

დღის წესრიგი;

1. მოხსენება მიმდინარე მომენტზე.
2. მოხსენება მე-3 რაიონ. კომიტეტის.
3. არჩევა რაიონულ კომიტეტის.
4. საქალაქო საერთო კონფერენციის დელეგატების არჩევა.
5. თფილისის ორგანიზაციის წესდების პროექტი.
6, მიმდინარე საქმეები. ამხანაგებს ვთხოვთ საწევრო ბილეთები თან იქონიონ.

## ქ უ თ ა ი ს შ ი

21 იანვარს შედგება მთელი გუბერნიის ბალშევიკური ორგანიზაციების კონფერენცია. დაწვრილებითი ცნობებისათვის ამხ, ვთხოვთ მიმართონ ვორონცოვის ქუჩაზე „ლამპარში“ კანდელაკს.

თფილისის კულტურ-ტეხნიკური სასწავლებლის მოწაფეთა კომიტეტის აღმასრულებელი კომისია აცხადებს ამ სასწავლებლის მოსწავლეთა საყურადღებოთ, რომ მეცადინეობა ამ სასწავლებელში დაიწყება 20 იანვრიდან.

რ. ს,-დ. მ, პ. მეუმრავლესეთა (ბალშევიკების) ოზურგეთის კომიტეტი აცხადებს თანამოაზრეთა საყურადღებოთ, რომ პარტიაში ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე: 1) ქალაქის აფთიაქის გამგე ფილიპე ცხომელიძესთან და 2) მარო ლომინაძესთან დღის 3 საათიდგან სალამო 6 საათამდე ჯაბა მამულაიშვილის სახლში, თეატრის გვერდით.

19 იანვარს 1918 წ. 1 რაიონული კომიტეტი რ. ს, დ. მ. პ. (მეუმრავლესეთა) იწვევს რაიონული კომიტეტის წევრების კრებას. რისთვისაც ვსთხოვ ამხანაგებს გამოცხადდენ სალამოს 5 საათზე ბიუროში ჩერკეზოვის ქუჩა № 135 გთხოვთ არ დაიგვიანოთ.

კანტორა პროფესიონალურ კავშირისა, „პროლეტარები ნემსის“ ღიაა დილის 12 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე სალამოობით — 6 საათ. 9 საათამდე, ადრესი: პეტრე დიდის ქუჩა № 18 პროფ. კავშირთა სადგომი, ოთახი